გერმანია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს კომუნისტური რუსეთის, გინ სხვა კომუნისტური ქვეყნის პრიორიტეტობას საერთაშორისო ცხოვრების ფერხულში. ამიტომაც არის, რომ კომუნიზმის მთელი დედამიწის ზურგზე განხორციელებით არ იქმნება ნიადაგი ეროვნული ნაციონალური ტენდენციების სრული გაქარწყლებისათვის.

ყოველივე ამის საუკეთესო ილუსტრაციაა საბჭოთა ფედერაციის ჩარჩოებში მოთავსებულ რესპუბლიკების ეროვნულ მიწრაფვათა საწყაულიდან ამოღებული ფაქტები. უკრაინით ამიერ-კავკასიის ეროვნულ ცხოვრების მაგალითი ადასტურებს ჩვენ მოსაზრებას. მენშევიკების ბატონობის ხანა ნაციონალისტური სულისკვეთების დემონსტრაციის დრო იყო. ეროვნულ ბრძოლა-შეტაკებებს მაშინ ქონდა სისტემატიური და აშკარა ხასიათი. დემოკრატიულ საქართველომ, მაგალითად, სამი წლის არსებობაში სამი ომი გამოიარა, სამჯერ მოირწყო სისხლით ბრძოლის ველები. დღეს მთელი რუსეთის მაშტაბით ერთი პოლიტიკურ პარტიის—კომპარტიის ხელშია პოლიტიკური ძალაუფლება. ქვეყანას განაგებს საბჭოთა ხელისუფლება. რესპუბლიკების პოლიტიკური შენობა ერთ წითელ ხაზზე ეყრდნობა, ერთ გარკვეულ ფორმაშია ჩამოსხმული, ჩამოყალიბებული. მართლაც, არც ნაციონალ ომებს ქონდეს ადგილი, მაგრამ ვინმე დაკვირვებული და შორსმჭვრეტი ადამიანი გაბედავს და იტყვის იმას, რომ ჩვენში ეროვნული შეხლა-შემოხლა, ეროვნული თვალსაზრისი არ არსებობს? განა შეიძლება იმის დასაბუთება, რომ სინამდვილეში საბოლოოდ მოისპო ეროვნულ ინტერესთა ანტაგონიზმი? თუ ჩავიხედავთ პოლიტიკურ ცხოვრების ჯურ სკრულში, ნათლად და მკაფიოდ ამოვიკითხავთ ამის პასუხებს. ეროვნულ ბრძოლას არ აქვს ოფიციალი ხასიათი, მაგრამ იგი ფარულად არსებობს არალეგალურად და არსებობს თვალსაჩინო ინტენსივობით.

ქართველი კომუნისტი განსხვავდება სომეხ კომუნისტისაგან, ხოლო აზერბაიჯანელი კომუნისტი — ორივესაგან ერთად. ეს განსხვავება ადვილად ხელშესახებია პარტიის მასაში. ხოლო რაც შეეხება პარტიულ ანტი-საბჭოთა ჯგუფებს, მათი ნაციონალისტური ბოლომა აღწევს კულმინაციას.

ეროვნული უკმაყოფილების, ეროვნული ჭიდილის მოსპობა ბოლშევიზმის ერთი მთავარი მისიაა. ბოლშევიზმის დანიშნულება ნაციონალისტურ—შოვინისტური გრძნობის ლიკვიდაციაშია არსებითად. ამავე დროს ბოლშევიზმმა ხელი შეუწყოს ყოველივე ეროვნულის, ნაციონალურის ზრდა-განვითარებას. უნდა სამუდამოდ დაკანონდეს პროლეტარული ეროვნული რესპუბლიკის სუვერენიტეტი. არც ერთ ერს არ უნდა მიენიჭოს ზედმეტი უფლება, ხოლო მეორეს—ზედმეტი მოვალეობა. სადა პროლეტარული, სოციალისტური ეროვნული პოლიტიკა აღმოფხვრის მხოლოდ საუკუნის განმავლობაში დაგროვილ ბოღმას და შურისძიებას. ასეთი პოლიტიკა გამოაცლის ნიადაგს ჩვენს პაწაწკინტელა შოვინისტ-ნაციონალისტებს, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის დამხობაზე ოცნებობენ. მენშევიზმის ბალაგმა ჭეშმარიტ სოციალისტური ნაციონალი პოლიტიკათა შეუძლებელი.

სამწუხაროდ, „კომუნისტური ყოყოჩობა" სავსებით ჯერ კიდევ არ მოსპობილა. ბლომად მოიპოვება მთელი წყება ელემენტებისა, რომლებიც ტფილისში კოსმოპოლიტურ იდეებს მოგვითხრობენ და ინტერნაციონალიზმის ტრიბუნაზე ლაპარაკობენ, ხოლო ჩვენს საზღვრებს იქით ყოველივე ამას დავიწყების ყუთში ინახავენ. ამის შედეგია თანდათანობითი სისტემატიური შევიწროვება სახელმწიფო ენისა ჩვენს დედა ქალაქში...

ამრიგად, კომუნიზმი ერთად ერთი რეალი მიმდინარეობაა, რომლის მოწოდებაა ეროვნული პრობლემის რაციონალი გადაწყვეტა, ნაციონალისტურ სათვალეების გაცამტვერება და ერთა ცხოვრების ნორმალი ნაციონალური კალაპოტში ჩაყენება. რამდენად ამ მიზნის რეალიზაციას მოახდენს კომუნიზმი, იმდენად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს მისი ეროვნული მისია ისტორიის წინაშე.

შესძლებს ამას ბოლშევიზმ? უნდა შესძლოს უსათუოდ!

გ. მუშიშვილი

მზე ცხოვრების ზედაპირს ანათებს,
სტატისტიკა კი—მის შინაარს.
აღწერა დასაბამია სტატისტიკისა!
[illegible]
ხელი შეუწყოს აღწერას!

# ჟურნალ-გაზეთებიდან

— პუანკარეს დეკლარაცია პალატაში. 10 ნოემბერს გრძელდებოდა განხილვა მთავრობის საერთო პოლიტიკისა პალატაში. პუანკარემ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც პირველად შეეხო საშინაო პოლიტიკას და აღნიშნა, რომ თუმცა არის საკმაო რიცხვი დეპუტატებისა, რომელთაც სურთ კაბინეტის დაცემა, მაგრამ მე მჯერა, რომ უმეტესობა შესდგება კეთილ მოაზრე პირთაგან რომელნიც მტკიცედ იცავენ რესპუბლიკას, რომელიც იცავს, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში ნაციონალურ პრინციპებს. პუანკარემ მიუთითა პროექტზე და მოხელეთა ამოცანებზედ ილაპარაკა ბიუჯეტისა და გაფიცვების თავისუფლების უზრუნველყოფაზედ. მისი საერთო დებულება იყო პოლიტიკური და სოციალური მშვიდობიანობის დებულება.

საფრანგეთმა ლოზანაში უნდა იმოქმედოს მჭიდრო კავშირში მოკავშირეებთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ხელი აიღოს საკუთარ პოლიტიკაზედ. მან მხოლოდ ლოიალურად უნდა აწარმოოს ურთიერთობა მოკავშირეებთან.

პუანკარემ სიხარული გამოთქვა, რომ ინგლისის დელეგაციას ლოზანაში ხელმძღვანელობს ლორდ კერზონი, ხოლო პრემიერი არის ბონარ ლოუ, რომელნიც მუდამ მეგობრები იყვნენ საფრანგეთისა, ანტანტა უნდა დარჩეს, ამას თხოულობს ევროპისა და მსოფლიოს ინტერესებიო — დაასრულა პუანკარემ თავისი სიტყვა.

ლოზანას კონფერენციის შესახებ პუანკარემ განაცხადა, რომ მან უნდა აღადგინოს მშვიდობიანობა აღმოსავლეთში. იგი შეეხო ჩანაკში მომხდარ ინციდენტს და დასძინა, რომ საფრანგეთის სამხედრო უწყებანი ერთხმად წინააღმდეგნი არიან ჩანაკის დაცვისა, რადგან მცირეოდენი შეტაკება შეიძლება გახდეს დიდი ომის მიზეზი ოსმალეთისა და მოკავშირეთა შორის, მით უფრო, რომ შესაძლებელია ომში მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა რუსეთმა და რუმინეთმა. ამ ფრომ პუანკარემ საჭიროდ დაინახა გამოეწვია სამხედრო ძალები საშიშარი ადგილისაგან.

შემდეგ პუანკარე შეეხო ლოზანას კონფერენციის ამოცანებს და განაცხადა, რომ მან უნდა შემოფარგლოს ოსმალეთის საზღვრები და შექმნას პირობები მცირე ნაციონალურ ერთეულთა დაცვისა. რუსეთმა მიიღო მოწვევა თანასწორად ყველა სახელმწიფოებისა სრუტეების საკითხის ირგვლივ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უდრის რუსეთის იურიდიულად ცნობასო.

# კომინტერნის კონგრესი

მოსკოვი. 29 ნოემ. გამოვიდა რა კომინტერნის კონგრესის 27 ნოემბერს სხდომაზე მოხსენებით საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის მუშაობის შესახებ, კლარა ცეტკინმა გააკეთა ევროპის სახელმწიფოებში ქალთა პროლეტარული მოძრაობის მიმოხილვა და აღნიშნა შორეულ და ახლო აღმოსავლეთის ქალთა მოძრაობის გამოცოცხლება. ცეტკინი აცხადებს, რომ აღმოსავლეთის ქალთა მოძრაობისათვის მხარის დაჭერა წარმოადგენს უდიდეს ამოცანას. მუშაობა უნდა სწარმოებდეს პროფკავშირებში და კოოპერაციაში. ქალთა შორის განმანათლებელი მუშაობა აუცილებლად უნდა გაძლიერდეს.

გერმანელი დელეგატი ქალი შტურმი გამოდის ცალკე სახელმწიფოებში ქალთა ორგანიზაციების კრიტიკით, რომელიც აღნიშნავს ქალთა ჩამორჩენილობას და პოლიტიკური საკითხებისადმი გულგრილად მოპყრობას.

შტურმი მოითხოვს ქალთა კომისიების მუშაობის გაძლიერებას და ქალების ჩაბმას საერთო პარტიულ მუშაობაში. მას საზიანოდ მიაჩნია განსაკუთრებულ ქალთა კავშირების შექმნა.

სმიდოვიჩი აღნიშნავს, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში ირიცხება 30 ათასი ქალი, პროფკავშირებში—მილიონ ნახევარი. ორატორი ეხება ქალების როლს პროფკავშირებში, კოოპერატივებში, დემშრომთა დახმარების კომპანიის ჩატარებაში, სანიტარიო და სხვა გვარ განმანათლებელ მუშაობაში.

კასპაროვამ, რომელიც გამოვიდა მოხსენებით აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ქალთა მოძრაობის მდგომარეობის შესახებ, განაცხადა, რომ ქალი აღმოსავლეთში ჩაგრულია, წარმოებაში ქალთა მოძრაობა აღმოსავლეთში იზრდება, ქალები მონაწილეობას ღებულობს გაფიცვებში. მიიღეს რეზოლუცია კომპარტიის ქალთა შორის მუშაობის საკითხის შესახებ.

— 28 ნოემბერს კომინტერნის კონგრესის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება გერტლესის კომპარტიის განმანათლებელ მუშაობის შესახებ. შემდეგ გამოდის კრუპსკაია, რომელიც ამბობს, რომ აგიტაციისათვის არ კმარა მჭერმეტყველობა, საჭიროა მასების გრძნობის გამოხატვა. მოისმინეს კაშენის მოხსენება საფრანგეთის კომპარტიისა და ვერსალის ხელშეკრულების შესახებ. მომხსენებელი აზრით საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ერთად უნდა იბრძოლოს ვერსალის წინააღმდეგ.

კონგრესი ესალმება ახლად ჩამოსულ იტალიელ დელეგატს ჯენნარის, რომელიც დაჭრეს ფაშისტებმა.

ირემი თავის სახის დასანახავად წყალში იხედება,
შეგნებული ადამიანი კი—სტატისტიკაში.
აღწერა მოგცემს შენი ცხოვრების სურათს
გინდა იცნო თავი შენი?
ხელი შეუწყე აღწერას!

# ლოზანას კონფერენცია

**ეგეის კუნძულები.**

ბორდო. 29 ნოემბ. ხამშაბათს დილით გენერალ ვეინანდის თავმჯდომარეობით შესდგა ქვე-კომისიის სხდომა ეგეის ზღვის კუნძულების დემილიტარიზაციის საკითხის განსახილველად, რომელთაც მოითხოვს ოსმალეთი, სახელდობრ: ლემნოს, ხიოსს, მიტილენს, სამოსს და ნიკარინს, „ტანი"-ს აზრით საკითხი კუნძულების შესახებ არ გამოიწვევს დიდ დაბრკოლებებს, ვინაიდან ოსმალოები არ მოითხოვენ დაჟინებით მათ ავტონომიას, ხოლო მოკავშირეები სავსებით თანახმა არიან მიეცეს ოსმალეთს სამხედრო წესით ყველა აუცილებელი უპირატესობანი რაიონების დამშვიდებისათვის.

**ოსმალეთის მოთხოვნილებანი.**

ბორდო. 29 ნოემბ. დღეს დილით შესდგება ეკონომიური კომისიის მეორე პლენარული სხდომა, სადაც ისმეტ-ფაშამ უნდა წარადგინოს გარკვეული ცნობები ოსმალეთის მოთხოვნილებათა შესახებ.

**ხმები.**

ბორდო. 29 ნოემბ. როგორც შეერთებული შტატები, ისე ოსმალნი უარჰყოფენ კონფერენციის წევრების შორის გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ეს სახელმწიფოები ეწეოდნენ მოლაპარაკებას კომერციული ხელშეკრულების დადების შესახებ.

**მღელვარე სხდომა.**

პარიზი. 29 ნოემბერი ფინანსაურ-ეკონომიური კომისიის უკანასკნელი სხდომა ატარებდა მღელვარე ხასიათს, ისმეტ-ფაშის და ვენიზელოსის შეჯახების გამო. ბარრერმა განაცხადა, რომ მოკავშირეები არ დაუშვებენ არავითარ მსჯელობას ოსმალეთის სახელმწიფო ვალების შესახებ. პრინციპიალურად კი მოკავშირეები თანახმანი არიან ოსმალეთისათვის კონტრიბუციის გადახდის. ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგაცია მოვიდა ლოზანაში მუდანიის კონფერენციის და არა მუდროსის შეთანხმების გამო. ლორდ კერზონმა უპასუხა, რომ მოკავშირეები ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო აზრს ადგანან.

**კონფერენციის გადადება.**

ჰანოვერი. 28 ნოემბ. თანდათან ძლიერდება ხმები ლოზანას კონფერენციის გადადების შესახებ გადმოგვცემენ, რომ ოსმალოებს განზრახვა აქვს წარადგინონ მოთხოვნილება იმ მანდატების გაუქმების შესახებ, რომლებიც შემოიღეს მოკავშირეებმა 1916 წელს.

**იმპერიალიზმის ბაზა.**

ჰანოვერი. 29 ნოემ. ვაშინგტონის ოფიციალური ცნობები გადმოგვცემენ, რომ ამერიკის მთავრობამ წინადადება მისცა ჩაილდს, რათა ლოზანას კონფერენციის ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლების წინაშე აღძრას საკითხი ახალი პოლიტიკური დოქტრინის გატარების შესახებ, რომლის ძალითაც სავსებით უნდა მოისპოს სხვისი ტერიტორიის დაპყრობის ყოველგვარი მისწრაფებანი. ნიუ-იორკის წრეებში ფიქრობენ, რომ ასეთი ნაბიჯი ნიშნავს იმპერიალისტური სისტემის მოსპობას.

**ოსმალეთის ხმელეთის საზღვრები**

კროიდონი. 29 ნოემ. როგორც გადმოგვცემენ, ოსმალეთის ხმელეთის საზღვრების საკითხის განხილვა მოხდება მომავალ კვირაში. გადადება გამოწვეულია არა მოკავშირეების უთანხმოებით, არამედ ოსმალოების მოუმზადებლობით. ამის გამო „დეილი ნიუს"-ი ამბობს, რომ გადადება არ იქონიებს გავლენას საქმის მომავალ მსვლელობაზე.

# გერმანიის ამბები

**გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი.**

მოსკოვი. 29 ნოემ. გერმანიის რეიხსტაგის ესდეკების ფრაქციამ უარი განაცხადა ფაბრიკა-ქარხნების სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტების დეპუტაციის მიღებაზე. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქმნა პროგრამა საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მთავარი მუხლებია: საკონტროლო კომიტეტების გაერთიანება. მათი უფლებების გაფართოვება, სეპარატიულ გამოსვლებზე უარის თქმა,

პროფინტერნის წარმომადგენლის სიტყვას მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ.

დამოუკიდებელთა ფრაქციამ განაცხადა, რომ კონგრესისათვის მიუღებელი პოზიცია, რომელიც დაიჭირა ლედებურმა, არ გამოხატავს დამოუკიდებელ მუშების სულიერ განწყობილებას. ამ საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნება სრულიად გერმანიის დამოუკიდებელთა ყრილობაზეო.

კონგრესი დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

გაზ. „როტე ფანე" ხაზს უსვამს კონგრესის ერთსულოვან მოთხოვნას, წარმოებაზე კონტროლის დაწესების და მუშათა მთავრობის შედგენის შესახებ.

**გერმანიის კაბინეტი**

მოსკოვი. 29 ნოემ. პარლამენტის უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა ახალ კაბინეტს, ამასთანავე გაერთიანებულ ესდეკების პარტიის ერთმა ნაწილმა თავი შეიკავა, ხოლო დანარჩენებმა დასტოვეს სხდომა.

# უცხოეთი

**საბერძნეთის მინისტრების დახვრეტა.**

კროიდონი, 29 ნოემბერი. სამხედრო-რევოლ. ტრიბუნალმა მიუსაჯა სიკვდილით დასჯა საბერძნეთის ყოფილ ექვს მინისტრს, რომლებიც დღეს დასაჯეს ათინაში. დასჯის შემდეგ ინგლისის ელჩმა მოითხოვა თავისი პასპორტები და განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობის განზრახვით მან უნდა დასტოვოს საბერძნეთი. დღესვე ღამით ელჩი გაემგზავრა ლოზანაში, სადაც ის მოხსენებას გაუკეთებს ლორდ კერზონს. მისი გამგზავრება [illegible] პრეცედენტს წარმოადგენს 1903 წ. სერბიიდან ელჩების გაწვევა—[illegible] სიკვდილის შემდეგ.

**ერიოს მოხსენება**

მოსკოვი. 29 ნოემ. „საფრანგეთის სამეცნიერო საზოგადოების" სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ერიომ განაცხადა, რომ ყველა რესპუბლიკანელები უნდა გაერთიანდნენ და აწარმოვონ კამპანია საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოდ.

# რუსეთი

**ამხ. ლენინის სიტყვა მოსკოვის საბჭოში**

მოსკოვი 29 ნოემბერი. მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ლენინმა სთქვა: „წელიწად ნახევარზე მეტი გავიდა, იმის შემდეგ რაც ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. ეს პერიოდი საგარეო პოლიტიკაში ჩვენთვის აღმოჩნდა (გამოტოვებულია) ჩვენ თან და თან განვაგრძეთ დიდი წარმატებით ადრეულ გზით სვლა. ის ცვლილება, რომელიც შევიტანეთ ჩვენ შინაურ პოლიტიკაში შარშან გაზაფხულზე ნაკარნახევი იყო გადაუხვევლობის აუცილებლობით. რათა უკანდახევის შემდეგ დავიწყოთ მედგარი შეტევა. რათა ეკეტერებულ იქნეს ნორმალური წესით ყველა ეს მოქმედებანი, საჭიროა არა ათჯერ, არამედ ასჯერ გაზომვა სანამ ჩვენ რამეს გადავსწყვეტდით. წელიწადნახევარზე მეტი გავიდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ. მაგრამ არსებითად ყველა ბურჟუაზიული მთავრობები ბოიკოტს განაგრძობენ, ჩვენ სხვა რამეს არც მოველოდით, მაგრამ მაინც არ გვავიწყდებოდა, რომ ჩვენ უნდა გადავსულიყავით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და მოგვეპოვებინა გამარჯვება საჭიროა შევიგნოთ, რომ ჩვენი უმთავრესი ამოცანა იქნება: არ დავსთმოთ არც ერთი ძველი მონაპოვარი. ჩვენ არც დავსთმობთ არც ერთ ძველ მონაპოვარს. ინგლისელი ბურჟუაზია თითქმის მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში იყო ჩვენი მოწინააღმდეგე და ამბობდა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები მიაღწევენ თავის მიზანს სამოქალაქო ომის გზით. ყოველივე ამის შემდეგ იმან დაიწყო ჩვენთან მოლაპარაკება, ჩვენ არ ვსთქვით უარი და დიდი სიხარულით შევუდექით მასთან მოლაპარაკებას, მაგრამ განუცხადეთ: უკაცრავად, მონაპოვარს ჩვენ არ დავსთმობთ ჩვენ არ ვაპირებთ უარს წინადადებაზე, მაგრამ განვიხილავთ მას დინჯათ და დაკვირვებითო". პირველად ჩვენ მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, პოლიტიკური მოსაზრებებით, ვინაიდან ინგლისელები არ გვაძლევდნენ საშუალებას მონაწილეობა მიგვეღო სრუტეების საკითხის გადაწყვეტაში მაგრამ უფრო გვიან შევუდექით საკითხის არსებითად განხილვას. ეხლა ჩვენ, კომუნისტების წინაშე სდგას ახალი ამოცანა: ეხლა ჩვენ უნდა ვისწავლოთ რა არის ჩვენთვის ხელსაყრელი, მივიღოთ მეტი სარგებლობა ჩვენ მოწინააღმდეგეებისაგან, რომელნიც, რა თქმა უნდა მიმართავენ ვაჭრობას. ჩვენ, რომელიც შევიხედეთ წინააღმდეგობას, უნდა შევისწავლოთ ვაჭრობა, სარგებლიანობის მიღება და მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსვლა ეს ძალიან რთული ამოცანაა, მაგრამ ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენ ვამუშავებთ. მანძილი, რომელიც ჩვენ მოვიარეთ, ძალიან ძნელია, მაგრამ სამაგიეროთ ეს იქნება უკანასკნელი მანძილი. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა ვაღიაროთ, ერთმანეთს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩვენ დავიხიეთ უკან მაგრამ არაფერი არ დავსთმეთ, და ამავე დროს ვიძლევით კაპიტალისტებს ისეთი სარგებლიანობა, რომელიც ყოველ სახელმწიფოს აიძულებს ურთიერთობა იქონიოს ჩვენთან. საჭიროა ჩვენი ძველი აპარატის ახალ საფუძვლებზე გადაკეთება, მაგრამ ერთბაშად ამის გაკეთება შეუძლებელია. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ჩვენმა კომუნისტებმა მთლიანად დაიმორჩილონ აპარატები, რომელიც მათ აქვთ ჩაბარებული და არ მოხდეს ის, რომ აპარატებმა დაიპყრონ ისინი. აპარატები უნდა გადახალისებული იქნას ისე, რომ მშრომელთა უმრავლესობამ სთქვას; „თქვენ ნუ კი იქებით თავს, არამედ ჩვენ უნდა გვაქებდეთო". ეს ჯერ ჯერობით მიღწეული არ არის. მაგრამ ძალაში რჩება ჩვენი მთავარი ლოზუნგები. არც ერთ ლოზუნგს, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, ჩვენ არ დავივიწყებთ. მე დასასრულ გამოვსთქვამ რწმენას, რომ დღეს თუ ხვალ თუ არა, რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ გადავსწყვეტთ ამოცანებს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მქონე რუსეთი გახდება სოციალისტური რუსეთად.

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.

**მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა.**

შაბათს, 2 დეკემბერს, შესდგება საქართველოს მემარცხენე სოც. თით. პარტიის

# მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე თითო წარმომადგენლის გამოგზავნის უფლება ეძლევა შემდეგ ორგანიზაციებს — ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, ჭიათურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, გორის, თელავის, სიღნაღის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის. გარდა სხდომაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ახალგაზრდათა კავშირის პრეზიდიუმს.

**სხდომის პროგრამა:**

1. მიმდინარე პოლიტიკა—მომხსენებელი ამხ. თ. ღლონტი.
2. საშუალო ინტელიგენციის კავშირი—მომხსენებელი ამხ. ხიმ. ხუნდაძე.
3. პარტიული მუშაობა—მომხსენებელი ამხ. პ. ქანიშვილი.
4. მიმდინარე საკითხები.

სხდომა გაიხსნება სადამოს 5 საათზე „ტრიბუნა"-ს რედაქციაში. სხდომა არავითარ შემთხვევაში არ გადაიდება, რისთვისაც ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ უეჭველად ზომები წარმომადგენლების გამოსაგზავნად.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე თ. ღლონტი.

მდივანი: ხერ. ამაღლობელი.

# ახალი ამბები

— **ქ. ტფილისის მცხოვრებთა აღწერის მზადებობა.** 29 ნოემბერს დასრულდა ყოველგვარი წინასწარი მუშაობა ქალაქის მცხოვრებთა აღწერისათვის. შემდგარია მაგარი შტატი აღმწერლების, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ ინსტრუქციებს. შტატი არის გეგმით სათადარიგო შტატი 300 კაცისაგან შემდგარი, ყოველ შემთხვევისათვის. აღმწერლებმა შეასრულეს საღწერო მუშაობა ხელმძღვანელების თანადასწრებით და შტატში ჩარიცხულ იქმნენ მხოლოდ ისინი, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა. ქალაქი დაყოფილია 14 საღწერო რაიონად. თითოეული რაიონი კი დაყოფილია რამდენიმე საკონტროლო და საღწერო უბნად. თითოეულ კონტროლიორს და აღმწერელს აქვს მიჩნეული განსაკუთრებული საღწერო უბანი, სქემატიური გეგმით. შტატი თვითეული რაიონის შესდგება ხელმძღვანელის, კონტროლიორის და აღმწერლებისაგან. აღმწერლები და კონტროლიორები ჰშეკრებილია საღწერო უბნების რაოდენობის მიხედვით. აღწერაზე მომუშავეთ აქვთ განსაკუთრებული მანდატები, რომლის ნომრები უთანხმდებიან იმ საღწერო უბნების ნომრებს, სადაც იგზავნება აღმწერელი. იმ მიზნით, რომ აღმწერლები სწორედ ყოფილიყვნენ განაწილებულნი უბნებში 28 და 29 ნოემბერს ხელმძღვანელებმა შემოიარეს თავიანთი რაიონები და ეცნობოდნენ საღწერო უბნებს. 29 ნოემბერს ყველა ხელმძღვანელებს მიეცა საღწერო მასალები. მთელი რიგი აღგილებისა, განსაკუთრებით განაპირა უბნებში, არ იყო აღნიშნული ქალაქის გეგმაში. საქალაქო საღწერო ბიურომ ასეთი ადგილები გამოჰკვლია და შეადგინა მათთვის ცალკე გეგმები. 150 ქუჩა იყო უსახელო და აღუნიშნავი ქალაქის გეგმაში საჭირო გახდა მათი გამოკვლევა და დროებითი სახელის მიცემა, რომ აღწერა არ შეფერხებულიყო. 30 ნოემბრიდან აღმწერლები უდგებიან ქალაქის აღწერას.

**ს. ს. ს. რ. სახ. განათლების კომისარიატში.**

— **ახალ ქალაქის განათლების განყოფილებაში.** ახალქალაქის აღმასკომის მიმართვისა გამო განათლების განყოფილების გამგის დანიშვნის შესახებ განათლების კომისარიატის კოლლეგის დადგენილებით ახალქალაქის განათლების განყოფილების გამგეთ დაინიშნა კომისარიატის ინსტრუქტორი გ. მელიქიძე.

— **განათლების განყოფილებასთან კოლეგიები.** განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით განათლების განყოფილებასთან უნდა გაუქმებულ იქნეს კოლლეგიები. განათლების განყოფილებათა გამგეს უფლება ეძლევათ ყოველ კერძო შემთხვევაში მოიწვიოს მცოდნე პირი სათათბირო ხმით პრინციპიალური—პედაგოგიური საკითხების გადასაწყვეტად.

— **დანიშვნა.** სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით ტფილისის განათლების განყოფილების გამგე ამხ. დ. რუხაძე დაინიშნა ამავე კომისარიატთან არსებულ საბჭოს წევრად, ხოლო მისი მოადგილე სოციალურ აღზრდის მართველობის კოლლეგის წევრად.

— **კერძო სასწავლებლების გახსნა.** სახალხო განათლების კომისარიატის კოლლეგიის დადგენილებით მცირე შესწორებებით დამტკიცებულ იქნა პროექტი კერძო სასწავლებლების დაარსების შესახებ.

— **წიგნები სახ. განათ. კომისარიატს.** სახალხო განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სახელმწიფო გამომცემლობის, რომ 50 პროც. უკვე გამოცემულ წიგნები გადაეცეს განათ. კომისარიატის საწყობს.

— **საყმაწვილო წიგნების შეძენა.** განათლების კომისარიატის დადგენილებით გადებულ იქმნა 50 მილიონი მან. სოციალური აღზრდის მართველობის განკარგულებაში საყმაწვილო წიგნების შესაძენათ და ბიბლიოთეკებისათვის დასარიგებლად.

— **100 მილ. გადადება.** სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით ადმინისტ. სამეურნეო მართველობის გამგეს ამხ. მამულაიშვილის განკარგულებაში გადადებული იქნა 100 მილ. მან. სკოლისათვის საჭირო ნივთების შესაძენად.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი: „ანგარიში ტფილისის საზოგადო საქალაქო დამზღვევი კასის მოქმედების შესახებ 1922 წ. პირველ ნახევრის".

— **სახ. გან. კომ. შეამდგომლობა.** სახ. გან. კომ, შუამდგომლობის თანახმად, მისი საწარმოო განყოფილების დაწესებულებანი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისაგან.

— **ზედმეტი მუშაობა სკოლებში.** უკანასკნელ ხანებში განათლების კომისარიატში შემოვიდა ცნობები, რომ გაკვეთილების გათავების შემდეგ, აგრეთვე კვირა-უქმე დღეებში, მასწავლებლები აწყობენ ჯგუფურ და კერძო მეცადინეობას და ახდევინებენ მოწაფეებს განსაზღვრულ ქირას. სცნობს რა დაუშვებლად, რომ მის ცნობის და სანქციის გარეშე სკოლებში სწარმოებდეს ყოველგვარი სახის ზედმეტი მეცადინეობა, საქ. გან. კომ. მთავარ პროფგანათლების მიერ გაცემულია განკარგულება მზგავს მეცადინეობის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

— **სკოლების გახსნა ხევსურეთში.** სახ. გან. კოლეგიის დადგენილების თანახმად სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველოზე დამყარებულია მთელი მუშაობა ხევსურეთში სკოლების გახსნისა.

— **სწავლის ფული შრომის სკოლაში.** განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად მიეწერა ყველა განათლების განყოფილებებს მოახდინონ სათანადო განკარგულება, რათა იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლის ფულის გადახდა არაა კანონით შემოღებული აიკრძალულ იქნება მოწაფეთა მშობლებისა და კერძო პირებისაგან სკოლის სასარგებლოდ ფულების იძულებითი გადახდევინება, ხოლო სკოლის გამგეებს უფლება მიეცეთ მიიღონ ნებაყოფლობით შემოწირულება მხოლოდ კოლექტივებისა, კავშირებისა და დაწესებულებათაგან.

ამ რიგად შემოსულ თანხა შეტანილ იქნას სკოლის შემოსავლის დავთარში.

— **საპენსიო წიგნაკების მოხსნა.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობანი 1921 წელს საბჭოთა დაწესებულებათათვის წიგნაკების გაცემის და თამბაქოს სააქციზო გადასახადის განთავისუფლების შესახებ.

— **ავარიკის გადაცემა.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით განათლების სახალხო კომისარიატს გადაეცა კოჯორში ყოფ. სუმბათოვის აგარაკი მუდმივი საზაფხულო კოლონიის მოსაწყობად.

— **საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების დამტკიცება.** სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილება მარგანეცის მრეწველთათვის მარგანეცის შემოსული სოფლით გადასახადის $^{11}/_{16}$ კაპ. ოქროთი გადიდებისა და 50,000 მან. ოქროთი სესხის მიცემის შესახებ ჭიათურაში წყალდიდობისაგან დაზიანებულ გზებისა, ხიდებისა და სხვა დაზიანებათა აღდგენის შესახებ.

— **სახალხო ბანკის ძირითადი თანხის გადიდება.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სახალხო ბანკის ძირითადი თანხა გადიდებულია 200,000,000,000 მანეთამდე.

— სახალხო ბანკის გამგეობის წინადადება მიეცა წარმოადგინოს სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ბანკის მოქმედების შესახებ.

# პროვინციის ცხოვრება

**სასურსათო გადასახადის შეგროვება.** სასურსათო კომისარიატის ცნობით ნოემბრისათვის 28-სათვის, აღმოსავლეთ საქართველოს ათს მაზრაში შეკრებილი იყო ხორბლეულობის ერთეულის 566,525 ფ. ან 98,6 პროც. დარჩა შეუსრულებელი სულ 1,4 პროც.—ე. ი. 8.208 ფუთი, რომელიც განაწილებული იქნება თიანეთის (4.622 ფ). დუშეთის (2.291) და ბორჩალოს (1.295) მაზრებს შორის. ყველა დანარჩენმა მაზრებმა გადაიხადეს სავსებით 100 პროც.

**ხიდების შეკეთება ახალციხის კომუნალურმა მეურნეობამ დაამთავრა აღდგენა** ქალაქის მესამე ხიდისა მდინარე გრდაჩაიზე, რომელიც დიდი ხანია დანგრეული იყო. წყალდიდობის დროს ნაწილობრივ დაინგრა ქალაქის მთავარი ხიდი მდ. ფოცხოვ-ჩაიზედ, რომლის აღდგენისათვის ჯერაც არ არის გადადგმული ნაბიჯი.

**მოძრავი კინო.** განზრახულია ახალციხის მაზრაში მოეწყოს მოძრავი კინო მიღებულია ზომები სამეცნიერო სურათების გამოსაწერად. სეანსები გაიმართება პროვინციებსა და სოფლებში. პირველ რიგში სდგანან უდე და აწყური.

# სამხატვრო ქრონიკა

— **გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი** 3 დეკემბრიდან გამოსვლას იწყებს ცნობილი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი. ჟურნალი გამოვა ყოველკვირეულად. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ლიტერატურული ძალები. პირველი ნომერი გამოვა კვირას.

— **მეოცნებე ნიამორები.** ამ დღეებში გამოვა „მეოცნებე ნიამორები" № 8. შინაარსი: გრიგოლ რობაქიძე—„მიწის სჯული" ხორალი, პაოლო იაშვილი—„ბუკოვიადი", ტიციან ტაბიძე—„სეზონის ფალავანდი", გიორგი ლეონიძე—„დედოფალი ესუქან", შალვა აფხაიძე—„მთვარის სოლო", რაჟდენ გვეტაძე—„მანიფესტი ვირებს", ვალენ დარიანი—„წერილი ანნა ახმატოვას", სერგეი კლდიაშვილი—დაბრუნება, ქოლ ლაფორგ—საქალთვიარო მარში, გრიგოლ რობაქიძე—სიტყვის რიტი.

რედაქტორი ვალერიან გაფრინდაშვილი, ფასი 25 ათასი მან. რედაქციის მისამართი: ხელოვნების სასახლე სერგეევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 30 ნოემბერს პირველად განახლების შემდეგ „პიკის ქალი", მონაწილეობენ პეტლიაშ-ბარილიოტი, ბარონინა, აგრანოვსკი, გოროვლოვი მეორე აქტში „დაფნის და ქლოია", მონაწილეობით: პეტიპა, ბარონკინა, სახელმწიფო ოპერის ბალეტი და სტუდიოპენინისა. დასდგამს ნ. ნ. ზოგოლიუბოვი, დირიჟორობს ივანე ფალიაშვილი.


სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა

მოქალაქენო! ემზადეთ აღწერისათვის.

აღწერა გაგვიღებს სინათლის კარებს

ნოემბრის 30 აღწერის დღეა

აღწერის გარეშე შეუძლებელია გონივრული და მიზანშეწონილი მუშაობის წარმოება ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

მოქალაქენო! ესწრაფეთ აღწერისაკენ! ხელი შეუწყვეთ აღწერას.

არც ერთი ადამიანი არ უნდა დარჩეს აღწერის გარეშე.

არც ერთი კითხვა არ უნდა დარჩეს უპასუხოდ.

ს. ს. ს. რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო.

2—2


# ქალაქის მცხოვრებთა აღწერისათვის

ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს, რომ ამ მიმდინარე 30. ნოემბერს იწყება ქალაქის მცხოვრებთა აღწერა ამისათვის საგანგებოთ დანიშნული აღმწერლების მიერ, რომლებიც იქმნებიან აღჭურვილნი მანდატებით ქალაქის საღწერო ბიუროსაგან. აღმწერები დაივლიან ყველა ბინებს და აღწერავენ ყველა მცხოვრებლებს გარდა სამხედრო ნაწილებისა.

თხოვნა მცხოვრებლებისადმი, რათა აღმოუჩინონ აღმწერლებს ყოველგვარი დახმარება და დასმულ კითხვებზე მისცენ სწორი პასუხი.

აღმწერლებს არავითარი სასყიდელი არ შეუძლიათ მოითხოვონ მცხოვრებლებისაგან.

სახლის პატრონები, ან პირნი, ვის ზედამხედველობაშიაც იმყოფებიან სახლები, მოვალენი არიან აღწერის დროს თან ახლდნენ ქალაქის აღმწერლებს თავიანთ სახლებში მობინადრეთა აღწერის წესიერად შესასრულებლად.

ყოველგვარ ცნობებისათვის აღწერის შესახებ როგორც მცხოვრებთ, ისე დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მიმართონ:

1. საქართველოს აღწერის ცენტრალურ ბიუროს ბროსსეს ქ. № 4. ტელ. 4—43.
2. ქალაქის აღმასკომის სასტატისტიკო-საინფორმაციო განყოფილებას, თავისუფლების მოედანი ტელეფ. 1—15.
3. ქალ. აღწერის ბიუროს განოვის ქ. 3. ტელ. 3—73.
4. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერის თავმჯდომარეს გ. მ. გრიგორიანცს რტიშჩევის ქ. № 9 ტელ. 6—56.
5. ქალ. აღწერის ბიუროს თავმჯდომარეს და სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის ცენტრალური ბიუროს წევრს ა. გ. რუხაძეს, ბებუთოვის № 58, ტელ. 19—11.
6. სხვადასხვა აღწერის ბიუროების ბინები.

1 უბანი ა) სახელმწიფო უნივერსიტეტი ვაკე. ტელ. 3—57.
ბ) საჩუღურთალო, სამკურნალო. ტელ. 2—96.
2 „ რუსთაველის პროს. № 38 ყოფ. კაფე „ორიონი" ტელ. 16—90.
3 „ ლერმონტოვის ქ. № 8 (72 შრომის სკოლა) ტელ. 4—57.
4 „ ეკზარხის მოედ. № 4 (სახელოსნო სასწავლებელი) ტელ. 3—99.
5 „ ვორონცოვის ქ. 8 (მეხუთე რაიკომი) ტელ. 77.
6 „ კახეთის და ნავთლუღის ქ. კუთხ. (უმაღ. სამეურ. საბჭოს ნავთის საწ.) ტელ. 5—85.
7 „ ვერის მოედანი № 7 (თამბაქოს ქარხანა „მირი") ტელ. 2—19.
8 „ 19 თებერვლის ქ. № (ტეხნიკუმი № 8) ყოფ. კომერციული სასწავლებელი 2—49.
9 „ ა) პლეხანოვის პროსპ. და რეუტოვის ქ. კუთხე (საბჭოთა სახლი)
ბ) ჩერქეზიშვილის ქ. № 98 (სამკითხველო პლეხანოვის სახელობის) ტელ. 13—08.
10 უბანი პლეხანოვის პროსპ. № 113 (კომის. მილიც. მმართ. ქვეშ). ტელ. 12—06.
11 „ ჩერქეზიშვილის ქ. № 189 (ნაძალადევის სამკურნალო) ტელ. 2—62.
12 „ პლეხანოვის პროსპ. № 182 (ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი) ტელ. 1—69.

აღმასკომის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.

საქალაქო საღწერო ბიუროს თავმჯდომარე ა. რუხაძე.


ნუ შეუდგები მგზავრობას, თუ კარგათ არ იცი გზა.
აღწერა გაიშუქებს შენს სავალ გზას
მაშ, ხელი შეუწყე აღწერას.


# ოცდა ათი ნოემბერი

არის მნიშვნელოვანი მომენტები ერის ცხოვრებაში, ასეთ მომენტად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ქალაქთა აღწერა.

უძველეს დროთა სიღრმეში სახელმწიფოთა ძლიერების და მისი გამოვლენის უმთავრესი ფაქტორი ცეცხლი და მახვილი იყო,—დღეს კი უკანასკნელის მაგივრობას კულტურა-მეცნიერება უნდა ეწევოდეს, რაც ბნელეთის სამყაროდან გამოსვლაში ჩირაღდნათ მოგვევლინება.

საერთაშორისო ბრძოლაში პატარა ერების ძლიერება მის კულტურაზეა უმთავრესად დამოკიდებული. საქართველო შესდგა ამ გზაზე და იგი მთელი თავისი პოტენციური ენერგიით უნდა გაჰყვეს მის გაქანებას. საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფო აღმშენებლობა მოსახლეობის შესწავლით უნდა იწყებოდეს და მისმა ხელისუფალმაც გადასწყვიტა მოახდინოს რესპუბლიკის მასშტაბით ქალაქების აღწერა.

ეს საქმე ზემოდ აღნიშნულ კატეგორიების წყებაშია და ამდენათვე ისტორიული მნიშვნელობის. ჩვენ—საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებმა დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ დაწყებულ საქმეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოსახლეობის აღწერა ჩვენ მოგვცემს საზომს საზოგადოებრივ განვითარებისა, აქ ჩვენ დავინახავთ ჩვენს ძლიერებას, ქალაქების აღწერა ჩვენ გვეტყვის თუ ვისგან არიან ისინი დასახლებული; შევსებული ფურცლებით გავეცნობით მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ასაკოვნებას განათლებას, პროფესია—მოსაქმეობას, რაც თავისთავად ამეტყველდებიან მეცნიერულ დასკვნების დროს და სახელმწიფოს მოლვაწეთ ქალაქის მესვეურთ მიუთითებენ, თუ როგორი ზენი უნდა აიღონ აღმშენებლობისა და რა უნდა გაიხადონ უახლოეს მოქმედების საგნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს მდგომარეობა მასალა აღწერის ობიექტზე, ქალაქის მოსახლეობამ უნდა მისცეს სახელმწიფოს,—მუნიციპალიტეტს, მასალის ღირებულება დამოკიდებულია ჩვენს სწორსა და პირ და პირ პასუხზე. გვახსოვდეს და აუცილებლად გვწამდეს რომ მოსახლეობის აღწერა არავითარ ფისკალური მიზნით არ ხდებოდა, მასთან არავითარი გადასახადი ჭერ არ არის დაკავშირებული; იგი მხოლოდ ფოტოგრაფიაა სოციალური მოვლენის. რაც მის შესწავლის მიზნით ხდება პისდა საქვეთილდღეოთ გვახსოვდეს, რომ ქალაქების აღწერისათვის ხალხის დიდძალი იხარჯება, რომლის ჯამი მილიარდებით განიზომება.

30 ნოემბერს ქალაქის მცხოვრებლის წინაშე პირველად გამოცხადდებიან მოანგარიშენი აღსაწერათ და ეს დღე იქნება უმნიშვნელოვანესი დღე ჩვენი საზოგადოების შესწავლისათვის. საქართველოს დედა ქალაქს ამ დღეს ათასხუთასი რჩეული მოანგარიშე თავს შემოევლება და აამეტყველებს მას თავის ვინაობის და მდგომარეობის შესახებ. ტფილისი, ეს ცენტრი ყურადღებისა გვწამს. რომ პატივისცემით მიიღებს თავის საუკეთესო შვილებს და მათთან მისულთ ჭიაწოდებს საჭირო ცნობებს.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს მოქალაქენი ამ გამოცდებს კარგად ჩააბარებენ და გულმხურვალე მონაწილეობას მიიღებენ აღწერის საუკეთესოდ და სასწრაფოდ ჩატარებაში.

ვიქტორ მხეიძე.

## თეატრი ხელოვნება

### ფრიდრიხ ნიცშეს საღამო

28 ნოემბერს „ილიონის" რედაქციის ინიციატივით კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ფრიდრიხ ნიცშეს საღამო. საღამო გახსნა პროფ. დ. უზნაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ აღნიშნა თანამედროვე ეპოქის ხასიათი, როგორც „ფასეულობათა გადაფასების" ერა კაცობრიობის ცხოვრებაში. მან მოიგონა ამ ორი წლის წინად გამართული ინდივიდუალისტების კონგრესი, რომელიც განსაკუთრებულ ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობის გავრცელების ნიადაგზე წარმოიშვა. ორატორმა აღნიშნა, რომ ახალი ინდივიდუალიზმის საფუძველს ისევ წარმოადგენს ის აზროვნება, რომელსაც ვიცნობთ ახლო წარსულიდან რომელიც ფრიდრიხ ნიცშესა და შტირნერის კონცეპციებში სახიერდება. ამიტომ საჭიროა დასძინა მან, რომ ერთხელ კიდევ მოვიხედოთ უკან და თვალი გადავავლოთ ფრიდრიხ ნიცშეს აზროვნებასო.

ნიცშეს შესახებ მოხსენებით გამოვიდა ირ. ტატიშვილი. მისი მოხსენება არ იყო შეფასება და გარჩევა ნიცშესი, არამედ ეს იყო უკეთ ინტერპრეტაცია, გადმოცემა იმ კონცეპციების, რომელიც ესოდენი ორიგინალობით და სიუხვით არის გამოწვეული ნიცშეს ნაწერებში. ამ მხრით ირ. ტატიშვილის მოხსენება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ფიგურალურად დამახასიათებელი მომენტები ნიცშეს აზროვნების განვითარებისა მან ნათლად გადმოგვცა.

პოეტებმა წაიკითხა ადგილები ნიცშეს ნაწერებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ვერც ერთმა ვერ მოგვცა ნიცშეს სულიერი ტეხილების გადმოცემა. პოეტის მიერ ნიცშეს ადგილების წაკითხვა ვერ გვაძლევდა ნიცშიანურ ტრაგიზმს, იმ ტიტანიურ გაქანებას და მედგარ ქარტეხილს, რომელიც სჩანს ნიცშეს ყოველ სტრიქონში. გარდა არ, ქუმბაძისა და ნაწილობრივად დემნა შენგელიასი, პოეტებმა მეტი სინაზე გამოიჩინეს ნიცშეს ადგილების წაკითხვის დროს, რაც სრულიად არ შეეფერება ნიცშეს ლექსების კითხვას.

კ. გამსახურდიამ წარმოსთქვა სიტყვა შემდეგ თემაზე „ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან". ამ სიტყვაში იყო მოცემული თავისებური განხილვა ნიცშესი და მისი მნიშვნელობის შეფასება.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ახალგაზრდა მწერლების სახელით ბესო ჟღენტი, რომელმაც თავის სიტყვაში გაატარა აზრი, რომ ევროპიდან „ყურით მოყვანილ" კორიფეების გარჩევა ვერ მოგვცემს საქართველოს კულტურის რენესანს, რომ საჭიროა არა უკან სვლა და ექსკურსიები ევროპას ძველი აზროვნების სფეროში, არამედ წინსვლა და ახალი აზრის ძიება ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის. სიტყვა მოსმენილ იქნა ხმაურობით, რის შემდეგ კ. გამსახურდიამ მოკლე განმარტებით მიმართა საზოგადოებას ახალგაზრდა მწერლების შესახებ, რომელმაც მეტად გადააჭარბა განმარტების საზღვარს.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერალთა შორის, უფრო კულტურული ბრძოლა სწარმოებდეს, ამით, ჰოიგებს როგორც მწერლობა ისე საზოგადოებაც.

ფრიად სიმპატიურია ლიტერატურული საღამოების გამართვა და ამ საღამოს ინიციატორებს მადლობა ეკუთვნის. სასურველია, რომ საღამოები რეგულიარულად იმართებოდეს.

დამხწრე.

### საოპერო თეატრი.

განახლდა, თუმცა მოძველებული, მაგრამ მაინც ამ ჟამის სასიამოვნო მოსასმენი ოპერა „ურიის ქალი" მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ასი წელი გავიდა ოპერის შექმნიდან, დღემდე ზოგიერთი მელოდია მაინც ახალია და სმენას ესალმუნება. იუვერტიურა, ნაწილობრივ სადღესასწაულო 1 აქტის, ხორო a capella (ორკესტრის უკომპანიმენტოთ), აღდგომის ჟამის დღესასწაული, მთელი მეორე აქტი სავსე ლირიზმით, რახილის სცენა, დიდი ფინალი მესამე აქტის,—ყოველივე ეს დღემდის ლამაზია. მაგრამ მოქმედების ზოგიერთი ადგილი მოძველდა (მოქალაქეთა ხორო 1 აქტში), ლეონოლდის მთელი პარტია მეტად ძნელია, ითხოვს დიდ ტექნიკას ხმისას.

შინაარსს მსმენელი გადაჰყავს საშუალო საუკუნეების ეპოქაში განსაკუთრებული შეურიგებლობის ხანაში კლერიკალური აბსოლიუტური მონარქიისა ებრაელობასთან.

ოპერა სცენიურად კარგად არის დადგმული: არ არის თვალსაჩინო დეფექტები, არ არის არც მხატვრობა.

რახილის პარტიას ასრულებდა მოქ. პეტლიარ-ბერიოზიკი. შესრულება კარგია, ლამაზად ისმოდა ხმა დრამატიულ და ლირიულ ადგილებში. ელეაზარი—ავრანოვსკი იმღერის კარგად, ტემპერამენტით. სცენიური გადმოცემა, განსაკუთრებით გრიმი, ნაკლებ უკეთესია. შინაგანად შესრულდა კარდინალ დე ბრონის პარტია მოქ. ისეცკიმ. არ მოაწონს გრიმი: ის მეტად ახალგაზრდებს. მოქ. იგონინი (ლეონოლდი) მღერის თავის პარტიას. კარგად აძლევდა ეკომპანიმენტს მოქ. ეგ. ფალიაშვილი. ლამაზია ცეკვა განსაკუთრებით ტარანტელა.

დამხწრე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი


# საჯარო ვაჭრობა

## ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების რკინის გზის სამმართველო

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ 1922 წელს 5 დეკემბერს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში (ვაგზლის ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

## საჯარო ვაჭრობა

1923 წ. 1 იანვრიდან ქვემოდ ჩამოთვლილ წარმოებების იჯარით გასაცემად: 1 ვაგონი რესტორანისა,

3-ვაგონი ბუფეტი, პირველი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებში: ბათუმში, ჩაქვაში, სამტრედიაში, რიონში, ქუთაისში, შორაპანში, ქვირილაში, ხაშურში, ბორჯომში, ბორჯომ-პარკში, მცხეთაში, ტფილისში, ნავთლუღში, გურჯაანში, სანდარაში:

მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებში: ბათუმში, ჩაქვში, ქობულეთში, ნატანებში, სუფსაში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალ-სენაკში, რიონში, ხრესილში, ტყიბულში, საჩხერეში მოლითში, ხაშურში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბოსლევში, ხაშმში, მცხეთაში, ავჭალაში, ტფილისში, ნავთლუღში, იორაში, საგარეჯოში, მელაანში, გურჯაანში, ვაზიანში, წყნორის-წყალში, თელავში, აფშაყალში, სანდარაში, შულავერში, სადახლოში;

საგზაო ფარდულების შემდეგ სადგურებში: ჩაქვში, ჯუმათში, ლანჩხუთში, სამტრედიაში № 1, 2, 3, ახალ-სენაკში, ფოთში, მუხიანში, რიონში № 1 და 2. ქუთაისში, ხრესილში, ვარში, ზესტაფონში, ქვირილაში, ძირულაში, ძევრულაში, მოლითში, წიფაში, ხაშურში, სურამთავაში, ბორჯომში, ხარაგოულში, ქარელში, კასპში, ქსანკაში, ავჭალაში, ტფილისში, ნავთლუღში, საგარეჯოში, გურჯაანში, ყარაიაზში, სანდარაში, შულავერში, სადახლოში, ალიაბადში, საჯავახოში, ცივის ძირში;

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებში: ბათუმში, სამტრედიაში. აბაშაში, ახალ-სენაკში, ფოთში, რიონში, ქუთაისში, ზესტაფონში, შორაპანში, ქვირილაში, საჩხერეში, ხაშურში, ბორჯომში, ტფილისში, გურჯაანში, სადახლოში და ბათუმის შესანახავი კამერის სადგურ ნავთლუღში.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, განცხადებები დახურულ კონვერტებში უნდა ჩააგდონ საბჭოს დარბაზის კარებთან სპეციალურად გაკეთებულ ყუთში.

კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით სადებად". ხოლო განცხადებებში უნდა აღინიშნოს, თუ რომელი წარმოების ადგილი სურთ მიიღონ და რა ფასი აქვს განზრახული გადაიხადოს წლიური საიჯარო გადასახადისათვის ოქროთი.

განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: 1) ქვითარი ცენტრ. გზების შეტანის შესახებ, რაც უნდა შეადგენდეს განზრახული ფასის არა ნაკლებს 10 პროცენტისა, 2) შეტანილ განცხადებაზე უნდა იყოს სადგურო მარკა. იჯარით გაცემის დროს რკინის გზის გამგეობა იტოვებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ კიდევ სხვა მოსაზრებებით, რომელიც შეეხება რკინის გზის მეურნეობის ინტერესებს. 3) ის პირნი, რომელნიც უნდა კიდებენ იჯარით ბუფეტებს, ფარდულებს, საპირფარეშოებს და არ შეიტანენ სავსებით საიჯარო გადასახადს მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე არ იქნებიან დაშვებული ვაჭრობაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 9 დან 11 საათამდე დილით, უქმე დღეების გარდა; რკინის გზათა სამმართველოში, ტფილისში ვაგზლის ქ. № 1 ოთახი № 64).

4—3 კომერციული ნაწილის უფროსი: თუხარელი.



## ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო

## აცხადებს

რომ 1922 წლის 15 დეკემბრის დილის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვაგზლის ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

# საჯარო ვაჭრობა

1923 წლის პირველი იანვრიდან იჯარით გასაცემად:

## პირველი კლასის ბუფეტებისა

შემდეგ სადგურებზე:

სანაინი, კარაკლისი, განჯა, ერევანი, ნახიჩევანი, შახტახტი, ეჩმიაძინი (მოითხოვს რემონტს).

## მესამე კლასის ბუფეტებისა

შემდეგ სადგურებზე:

კარაკლისი, შაჰალი, ამამლი, განჯა, ულუხანლუ, ალაგეზი, ნახ ჩევანი, კამარლუ.

## საგზაო ფარდულებისა შემდეგ ფარდულებზე:

ახტალა, სანაინი, კალაგერანი №№ 1 და 2, კარაკლისი № 2, შაჰალი, ამამლი, განჯა, ავანი, ეჩმიაძინი, კარაბულაღი, სანდარ-აბადი, ერევანი, ნახიჩევანი, შახტახტი.

## საპირფარეშოსი

სადგურ სანაინში.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა კვეთილ იმუშაონ და თავიანთი განცხადებანი დახურულ კონვერტებით ჩაუშვან საბჭოს დარბაზის კარებთან მოწყობილ სპეციალურ ყუთში. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა:

**„ბუფეტების, ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემ საჯარო ვაჭრობისათვის".**

ხოლო განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, სახელდობრ რომელი ამ წარმოების ადგილს ფიქრობს მსურველი და რა საიჯარო ქირას აძლევს წლიურად ოქროს მანეთობით. განცხადებასთან უნდა იქნეს დართული:

1) ქვითარი განზრახული ქირის არა ნაკლებ 10 პროც. გირაოს შეტანის შესახებ. 2) წარმოდგენილ განცხადებებზე უნდა იქნას დაკრული სადგურო მარკა. იჯარით გაცემის დროს გზების სამმართველო იტოვებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებით, რომელსაც მოითხოვს რკინის გზის მეურნეობის ინტერესები.

3) ის პირნი, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული ბუფეტები, ფარდულები, საპირფარეშოები და რომელთაც სრულიად არ წარმოუდგენიათ საიჯარო გადასახადი ა. წ. 1 დეკემბრამდე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას კარგავენ.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე, გარდა კვირა უქმეებისა, რკინის გზათა სამმართველოში. ტფილისში (ვაგზლის ქ. № 1 ოთახი № 64).

საკომერციო ნაწილის უფროსი თუხარელი

4—1 166



## ამიერ-კავკას. ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ 1922 წლის 10 დეკემბერს დილის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვოკზალის ქუჩა სახლი № 1) დანიშნულია წერილობითი

# საჯარო ვაჭრობა

1923 წლის პირველ იანვრიდან იჯარით გასაცემათ:

## პირველ კლასის ბუფეტების

შემდეგ სადგურებზე:

აქსტაფაში, განჯაში, ევლახში, უჯარში, კიურდამირში, ადჯიკაბულში, ბაქოს, ხაჩმასში,

## მესამე კლასის ბუფეტების გასაცემათ

შემდეგ სადგურებზე:

სალოგლუში, აქსტაფაში, ტაუზში, ძეგამში, დალიარში, შამხორში, განჯაში, დელ-მამედში, ევლახში, ლისკში, კიურდამირში, საგირში, აჯიკაბულში, ნავაგიში, ბალაჯარში, ბაქოს, ბაქო-საბუნჩინსკიაში, საბუნჩიში, იალამაში, ყიზილ-ბურუნში, ხაჩმასში, ხუდატში, სუმგაიტში, დივიჩში, კიაზგენტში, მამედ-კალაში მიუსიულში.

## საგზაო ფარდულების სადგურებზე:

აქსტაფაში, ტაუზში, ძეგამში, დალიარში, განჯაში №№ 1, 2, 3, 4, 5, 6 და 3—4, დელ მამედლში, ევლახში №№ 1, 2 და 3, ლისკში, უჯარში, კიურდამირში, საგირში, აჯიკაბულში №№ 1 და 2, ჩაიახანში. ბაქო-საბუნჩინსკიაში, საბუნჩიში, იალამაში, ხაჩმასში, შამხორში.

## საპირფარეშოების სადგურებზე:

აქსტაფაში, განჯაში, ევლახში, ბაქო-საბუნჩინსკიაში, საბუნჩიში, ხაჩმასში.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა კვეთილ იმუშაონ და თავიანთი განცხადებანი დახურულ კონვერტებით ჩაუშვან საბჭოს დარბაზის კარებთან მოწყობილ სპეციალურ ყუთში. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა:

**„ბუფეტების, ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემ საჯარო ვაჭრობისათვის".**

ხოლო განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, სახელდობრ რომელი ამ წარმოების ადგილს ფიქრობს მსურველი და რა საიჯარო ქირას აძლევს წლიურად ოქროს მანეთობით. განცხადებასთან უნდა იქნეს დართული;

1) ქვითარი განზრახული ქირის არა ნაკლებ 10 პროც. გირაოს შეტანის შესახებ. 2) წარმოდგენილ განცხადებებზე უნდა იქნას დაკრული სადგურო მარკა. იჯარით გაცემის დროს გზების სამმართველო იტოვებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებით, რომელსაც მოითხოვს რკინის გზის მეურნეობის ინტერესები.

3) ის პირნი, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული ბუფეტები, ფარდულები, საპირფარეშოები და რომელთაც სრულიად არ წარმოუდგენიათ საიჯარო გადასახადი ა. წ. 1 დეკემბრამდე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას კარგავენ.

ყოველგვარი ცნობები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე, გარდა კვირა უქმეებისა, რკინის გზათა სამმართველოში. თბილისში (ვაგზლის ქ. № 1 ოთახი № 64).

5—3 საკომერციო ნაწილის უფროსი—თუხარელი.


საქართვ. უმაღლ. ეკონ. საბ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა ... ქუჩა № 2.